საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქეთევან ცინცაძე

ბიულეტენი

კენჭისყრა - 24.04.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს არჩილ კოჭლამაზაშვილის კანდიდატურა?
დიახ არა

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

24 აპრილი, 2025 **ქ. თბილისი**

2025 წლის 24 აპრილს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დავუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის **არჩილ კოჭლამაზაშვილის** კანდიდატურის წარდგენას, შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის **არჩილ კოჭლამაზაშვილის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივედი დასკვნამდე, რომ **კანდიდატი - არჩილ კოჭლამაზაშვილი** სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატი, ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით - 88 ქულით (88%) (იხ. ქეთევან ცინცაძის - 2025 წლის 14 აპრილის შეფასების დასაბუთება - კანდიდატის **არჩილ კოჭლამაზაშვილის** შესახებ).

ამდენად, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ **კანდიდატი - არჩილ კოჭლამაზაშვილი** - სრულად აკმაყოფილებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმს და იგი სრულად შეესაბამება ამ თანამდებობას, რის გამოც, მხარს ვუჭერ მისი კანდიდატურის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ქეთევან ცინცაძე